უწმინდესი პატრიარქის კირილეს სამძიმარი ბათუმში საცხოვრებელი კორპუსის ნაწილის ჩამონგრევის შედეგად ადამიანების დაღუპვასთან დაკავშირებით

2021 წლის 8 ოქტომბერს, საქართველოში ქ. ბათუმში 26 მაისის ქუჩაზე, ხუთსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ნაწილი ჩამოინგრა. ტრაგედიის შედეგად ცხრა ადამიანი გარდაიცვალა. საქართველოს ხელისუფლებამ 11 ოქტომბერი გლოვის დღედ გამოაცხადა. მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ილია II სამძიმარი გამოუცხადა.

მის უწმინდესობასა და უნეტარესობას, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს

თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ, უფალში საყვარელო თანამოძმევ და თანამსახურო!

მიიღეთ გულწრფელი სამძიმარი ბათუმში მომხდარ უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებით, რომელმაც ადამიანების სიცოცხლე შეიწირა.

დაე უფალმა თავის მარადიული სავანეში მისცეს განსვენება უდროოდ გარდაცვლილთა სულებს, ყველა დაზარალებული, ვინც კატასტროფისას დაშავდა – განკურნოს, გარდაცვლილთა ნათესავები და ახლობლები გააძლიეროს და ანუგეშოს.

საქართველოსთვის ამ სამგლოვიარო წუთებში, ლოცვით გისურვებთ ჯანმრთელობას და ძალას თქვენს უმაღლეს და ხალხისთვის ასეთ აუცილებელ საწინამძღვრო მსახურებაში. დაე, ჩვენი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის პატიოსანი საფარველი ყოველთვის იყოს ღვთისმოსავ ქართველ ხალხზე და დაიცვას იგი ყოველგვარი ბოროტებისგან.

ქრისტესმიერი ძმური სიყვარულით

+ კირილე,

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88233/